კონკურსი EU4Energy ბებო
(2020 წლის 22 მაისი – 1 ივნისი)

მიწვევა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

ცხოვრობთ რომელიმე ჩამოთვლილ ქვეყანაში: საქართველო, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, სომხეთი ან უკრაინა? თუ ასეა, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მონაწილეობა **EU4Energy**-ის ახალ კონკურსში! **#EU4Energy** ბებო დაბრუნდა, რომ გიჩვენოთ, თუ როგორ უნდა გააუმჯობესოთ ენერგოეფექტურობა თქვენს სახლში. შექმენით კონტენტი, რომელიც ასახავს ენერგიის დაზოგვის მეთოდებს სახლში და მოგვაწოდეთ ის ვიდეო სთორის ან ფოტოს სახით. თქვენ გექნებათ შანსი მოიგოთ **10** პრიზიდან ერთ-ერთი, მათ შორის მთავარი პრიზი - **300** ევრო!

კონკურსის წესები

<u>კონკურსის თემა</u>: კონკურსი სოციალურ მედიაში ორგანიზებულია EU4Energy საკომუნიკაციო პროექტის მიერ. კონკურსის თემაა **ენერგოეფექტურობა სახლში**. უყურეთ ვიდეოს, რომელშიც ჩვენი #EU4Energy ბებო სახლშია თავის შვილიშვილებთან ერთად და უჩვენებს მათ ენერგიის დაზოგვის და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების სხვადასხვა საშუალებას.

<u>კონკურსში მონაწილეობის პირობები</u>: კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მოქალაქეებს (პიროვნებებს) საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, ბელარუსიდან, მოლდოვადან, სომხეთიდან და უკრაინიდან, რომლებსაც აქვთ Facebook, Instagram ან Vkontakte-ს პირადი ანგარიში და მათი ასაკი არანაკლებ თვრამეტი (18) წელია. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ EU4Energy საკომუნიკაციო პროექტის თანამშრომლებს, სტაჟიორებს, ან გუნდის წევრების პარტნიორებს, ასევე ამ თანამშრომლების ოჯახის წევრებს და ნათესავებს.

<u>ორგანიზატორი</u>: კონკურსის ორგანიზატორია EU4Energy საკომუნიკაციო პროექტი („ორგანიზატორი“). კონკურსის ორგანიზატორი არ არის Facebook; Facebook ასევე არ წარმოადგენს კონკურსის სპონსორს, მხარდამჭერს ან ადმინისტრატორს.

<u>ვადები და მონაწილეობა:</u> კონკურსი ჩატარდება **2020 წლის 22 მაისიდან 1 ივნისამდე**. მომხმარებლებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა შექმნან კონტენტი (Insta/Facebook Story ვიდეო ან ფოტო), რომელიც უჩვენებს ენერგოეფექტურობის მეთოდებს სახლში ყოფნისას და მონიშნონ შესაბამის პლატფორმაზე პროექტის „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო“ <u>Facebook</u>, <u>Instagram</u> ან <u>Vkontakte</u> ანგარიშები. ნებადართულია კონტენტის მომზადება მშობლიურ ენაზე, ინგლისურად ან რუსულად. კონტენტის მომზადებისას კრეტიულობა და იუმორი წახალისებულია.

კონტენტი გაზიარებული უნდა იყოს ინდივიდუალური, პერსონალური ანგარიშიდან. მომხმარებლის ანგარიში უნდა იყოს საჯარო. ბიზნეს-ანგარიშები ავტომატურად იქნება დისკვალიფიცირებული კონკურსში მონაწილეობიდან. ერთ ადამიანს აქვს მხოლოდ ერთი ვიდეო სთორის/ფოტოს წარდგენის უფლება.

<u>გამარჯვებულების შერჩევა:</u> კონტენტის წარდგენის ეტაპის დახურვის შემდეგ, ჟიური შეარჩევს ფინალისტების საბოლოო სიას და გადასცემს მას ხმის მისაცემად <u>VoteMe.App</u> აპლიკაციას, რომელიც Android-სა და iPhone-ზე არის ხელმისაწვდომი. ყველაზე მეტი ხმის მქონე წარდგენილი ვიდეო/ფოტო მიიღებს მთავარ პრიზს, ხოლო მომდევნო ადგილებზე გასულებს დანარჩენი ცხრა პრიზი გადაეცემათ.

<u>პრიზი</u>: სულ გამარჯვებულებზე გაიცემა 10 პრიზი[1]. მთავარი პრიზი არის 300 ევროს ღირებულების სასაჩუქრე ვაუჩერი, რომელიც გამარჯვებულს გადაეცემა. პრიზის სხვა პირისთვის გადაცემა დაუშვებელია და გამარჯვებულს აქვს ვალდებულება თავად დაიტოვოს პრიზი. გამარჯვებულს არა აქვს უფლება მოითხოვოს თანხა ან რაიმე სხვა

[1] პრიზები მოიცავს მზის დამტენ მოწყობილობებს, დამატებით კვების ბლოკებს და პრომო მასალებს.

პრიზი. არ დაუკავშირდეთ ორგანიზატორს კონკურსის სტატუსის თაობაზე. მონაწილის მიერ მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის საშუალებით ორგანიზატორი შეატყობინებს გამარჯვებულებს კონკურსის შედეგებს მათი გამოცხადების შემდეგ. თუ გამარჯვებული არ დაუკავშირდება ორგანიზატორს გამოცხადებიდან ოთხი სამუშაო დღის განმავლობაში, გამარჯვებულად შეირჩევა მეორე ადგილის მფლობელს.

<u>ზოგადი პირობები</u>: ორგანიზატორი იტოვებს უფლებას მოახდინოს ნებისმიერი პირის დისკვალიფიკაცია, ვინც დაარღვევს კონკურსის მსვლელობას, წესებს, ან გამოავლენს დესტრუქციულ ან უღირს საქციელს. ონლაინ წარდგენილი მასალების მფლობელობის თაობაზე დავის შემთხვევაში, მასალების მფლობელად ანგარიშის ავტორიზებული მფლობელი ჩაითვლება.

<u>პასუხისმგებლობიდან განთავისუფლება და პასუხისმგებლობის ფარგლები</u>: კონკურსში მონაწილეობით კონკურსანტი თანახმაა არ დაავალდებულოს და გაათავისუფლოს ორგანიზატორი, Facebook, მათი შესაბამისი სათაო ორგანიზაციები, შვილობილი კომპანიები და ფილიალები, ასევე მათი შესაბამისი თანამშრომლები, დირექტორები, დაქირავებული პირები და აგენტები („განთავისუფლებული მხარეები“) პასუხისმგებლობისგან ნებისმიერი პრეტენზიის ან ქმედების მიზეზის გამო, რომელიც გამოწვეულია კონკურსში მონაწილეობით ან ნებისმიერი პრიზის მიღებით ან გამოყენებით. აღნიშნული გულისხმობს არა მხოლოდ შემდეგს: (ა) კონკურსში ადამიანის არამართლზომიერი ჩარევა; (ბ) ტექნიკური შეცდომები; (გ) ბეჭდვითი შეცდომები; (ე) საფოსტო გზავნილების დაგვიანება ან მიუღებლობა; (ვ) შეცდომები კონკურსის ადმინისტრირების პროცესში. მონაწილე უარს ამბობს უფლებაზე განაცხადოს პრეტენზია იურისტის ნებისმიერ საფასურზე და ნებისმიერ ზიანზე, რაც გულისხმობს არა მხოლოდ შემდეგს: საჯარიმო, მეორად, პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანზე.

<u>კონფიდენციალობა და საჯაროობა</u>: ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მონაწილე წარადგენს კონკურსში მონაწილეობისას, მიეწოდება EU4Energy საკომუნიკაციო პროექტს, და არა Facebook-ს. მონაწილე თანახმაა იმაზე, რომ ორგანიზატორმა გამოიყენოს მონაწილის სახელი/გვარი და პროფილის სახელი გამარჯვებულთა ნებისმიერ სიაში (თუ შეესაბამება). ეს ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ გამარჯვებულებთან დასაკავშირებლად. გამარჯვებულების სახელი/გვარი და პროფილის სახელი შეიძლება გამოყენებული იყოს სარეკლამო მიზნებით რაიმე შემდგომი ანაზღაურების ან კომპენსაციის გარეშე.

<u>დავები</u>: მონაწილე თანახმაა, რომ ნებისმიერი და ყველა დავა, პრეტენზია და ქმედების გამომწვევი მიზეზი, რომლის წყაროა ან რომელსაც იწვევს კონკურსი ან ნებისმიერი გადაცემული პრიზი, უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, რაიმე ფორმის კოლექტიური საჩივრის გარეშე, და მხოლოდდამხოლოდ ბრიუსელში მდებარე შესაბამისი სასამართლოს მიერ. ყოველგვარი საკითხი და შეკითხვა, რომლებიც უკავშირდება ამ ოფიციალური წესების, მონაწილის უფლებების და ვალდებულებების, ან ორგანიზატორის უფლებების და ვალდებულებების შედგენას, საფუძვლიანობას, ინტერპრეტაციასა და განხორციელებადობას კონკურსთან დაკავშირებით, უნდა იმართებოდეს და განმარტებული იყოს ბელგიის კანონებით, ნებისმიერი სამართლის არჩევის ან კოლიზიური სამართლის ნორმების გარეშე (იქნება ის ბელგიის თუ ნებისმიერი სხვა იურისდიქციის), რომლებიც გამოიწვევდა ბელგიის გარდა ნებისმიერი სხვა იურისდიქციის კანონების გამოყენებას.

თანხმობა წესებზე: კონკურსში მონაწილეობა გულისხმობს იმას, რომ მონაწილე სრულად ეთანხმება ზემოაღნიშნულ წესებს.

შეკითხვები: ნებისმიერი შეკითხვები კონკურსის შესახებ შეგიძლიათ გაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე EU4Energy@ecorys.com